საქართველოს სახალხო დამცველი

ბავშვის უფლებები

ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლისა და სრულფასოვანი განვითარების უფლება!

ბავშვი არის 18 წლამდე ასაკის პირი

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა

გადაწყვეტილების მიღების ან მისი განხორციელების დროს, როდესაც საქმე ბავშვს ეხება, დაცული უნდა იყოს მისი საუკეთესო ინტერესები.

ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ უფროსებმა, რომელიც ყველაზე კარგად დაიცავს ბავშვის უფლებებს.

ბავშვის აზრის მოსმენა და გათვალისწინება

ყველა ბავშვს აქვს უფლება, გამოხატოს თავისი აზრი და შეხედულებები, მიიღოს ინფორმაცია და ჩაერთოს იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მას ეხება.

დაუშვებელია ამ უფლების შეზღუდვა ბავშვის ასაკის გამო. პირიქით, თუ ბავშვი ძალიან პატარაა და სიტყვებით კარგად ვერ გადმოსცემს თავის აზრს, ხელი უნდა შევუწყოთ, რომ სხვა ფორმით გამოხატოს, რას ფიქ-რობს, მაგალითად, შეიძლება, ნახატით გაგვიზიაროს მისი მოსაზრება.

დისკრიმინაციის აკრძალვა

ყველა ბავშვის უფლებაა, რომ შეძლოს თავისი უფლებებით სარგებლობა და დაუშვებელია, ბავშვების რაიმე ნიშნის გამო, ერთმანეთისგან გამორჩევა, განსხვავებული მოპყრობა და ამით, სხვა ბავშვებთან შედარებით, ცუდ მდგომარეობაში ჩაყენება.

ხოლო, როცა ბავშვებს განსხვავებული საჭიროებები აქვთ, მათ არა ერთნაირად, არამედ, ისე უნდა მოვეპყრათ, რომ თითოეული მათგანის საჭიროებები დაკმაყოფილდეს.

თუ ფიქრობ, რომ შენი ან სხვა ბავშვის უფლებები ირღვევა, ან უბრალოდ გინდა, მეტი გაიგო ბავშვის უფლებების შესახებ, მოგვმართე:

- დაგვირეკე ცხელ ხაზზე - **1481**, რომელიც ყოველთვის ჩართულია
- მოგვწერე **Facebook**-ზე - „საქართველოს სახალხო დამცველი“ ან **Instagram**-ზე - „public_defender_georgia“
- მოგვწერე ელექტრონულ ფოსტაზე - **info@pdo.ge**
- შეგიძლია, შეავსო ძალიან მარტივი წერილის ფორმა, რომელიც სულ რამდენიმე კითხვისგან შედგება და დაგეხმარება გვიამბო, რა გაწუხებს ან გაინტერესებს

გახსოვდეს

- შეგიძლია, **ანონიმურად** მოგვმართო, არ გვითხრა შენი სახელი და ისე გვიამბო რა გაწუხებს, ან მერე ითხოვო ანონიმურობის დაცვა.
- უფლება გაქვს, სახალხო დამცველის წარმომადგენელს პირისპირ შეხვდე და ცალკე ესაუბრო.

წერილი სახალხო დამცველს

1. გაგვეცანი, გვითხარი შენი სახელი და გვარი. თუ გაქვს სურვილი, გვითხარი, რამდენი წლის ხარ და სად ცხოვრობ?

---

2. მოგვიყევი რა მოხდა, რა გაწუხებს?

---

3. შენი აზრით, ვინ მოგექცა შენ ან სხვა ბავშვს უსამართლოდ?

---

4. გსურს თუ არა, რომ ვინმემ იცოდეს ჩვენ რომ მოგვწერე? (შენმა მშობლებმა, ოჯახის წევრებმა, სხვა ბავშვმა ვისაც იცავ ან იმ ბავშვის მშობლებმა და ა.შ.)?

☐ კი ☐ არა

5. რა გსურს გავაკეთოთ შენი ან სხვა ბავშვის დასახმარებლად?

---

6. ამ წერილის დაწერის თარიღი აღნიშნე აქ

☐ რიცხვი ☐ თვე ☐ წელი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE

საინფორმაციო ბროშურა მომზადდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ბროშურის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველის აპარატი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.